

შუალედური ანგარიში  
18 სექტემბერი – 9 ოქტომბერი 2018

12 ოქტომბერი 2018

I. შემაჯამებელი რეზიუმე

- 28 ოქტომბრის არჩევნები იქნება ბოლო არჩევნები, სადაც პრეზიდენტს პირდაპირი წესით აირჩევენ, რითაც დასრულდება 2010 წელს ინიცირებული საპრეზიდენტო მოწყობიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას პროცესი. 2016 და 2017 წლების არჩევნებზე მმართველის პარტიის მიერ მოპოვებული ძლიერი უპირატესობის მიუხედავად, საპრეზიდენტო არჩევნები ანტისამთავრობო პროტესტების ფონზე მიმდინარეობს. არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად კანდიდატებმა არჩევნების პირველ ტურში „ნამდვილი ხმების“ 50 პროცენტზე მეტი უნდა მოიპოვონ.
- „საარჩევნო კოდექსში“ ამ დროისთვის უკანასკნელი ცვლილებები 2017 და 2018 წლებში შევიდა. მათ შორის არის რამდენიმე ცვლილება, რომლებიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ იყო შემოთავაზებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები უმეტესწილად ტექნიკური ხასიათისაა, ისინი ნაწილობრივ იზიარებენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებსაც, მაგრამ არ ითვალისწინებენ საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობის უფლების, წინასაარჩევნო კამპანიისა და კამპანიის დაფინანსების შესახებ რეგულაციების შემოღებისა და ასევე საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემის შესახებ გაცემულ რეკომენდაციებს.
- არჩევნებს ადმინისტრირებას უწევს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,637 საუბნო საარჩევნო კომისია. ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომები ღიაა დამკვირვებლებისთვის. ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით შემცირდა საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ყველა დონეზე, რამაც კომისიების წევრთა შორის მმართველი პარტიის წარმომადგენელთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია. და რადგანაც არაპარტიულ წევრთა შერჩევის წესი კანონით არ არის დარეგულირებული, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა რეკომენდაციები კომისიების წევრთა შერჩევის პროცესის შესახებ. პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან (ODIHR EOM) საუბრისას გამოთქვეს წუხილი, რომ კომისიის წევრთა შერჩევის პროცესი არ არის გამჭვირვალე და რომ კომისიის წევრთა შერჩევა ხდება პოლიტიკური მიკუთვნებულობისა და ნეპოტიზტური კავშირების გათვალისწინებით.

- ხმის მიცემის უფლება აქვთ ხმით მიცემის დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, გარდა იმ პატრიმრებისა, რომლებსაც პატრიმრობა 5 წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი და იმ პირებისა, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდაჭერის მიმღებად არ ცნობილნი და კენჭისყრის დღისთვის სტაციონარში იმყოფებიან. დარეგისტრირებულია 3.5 მილიონზე მეტი ამომრჩეველი. ამომრჩეველთა სიები თვალსაჩინოებისთვის საარჩევნო უბნებში გამოიკრა. ადგილობრივმა მთავრობებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, რათა ხმის მიცემის უფლების მქონე არცერთი პირი არ დარჩეს სიის მიღმა.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 25 კანდიდატი დაარეგისტრირა. მათგან 19 პოლიტიკურმა პარტიებმა წარმოადგინეს, 6 კი - საინიციატივო ჯგუფებმა. კანდიდატთა შორის ორი ქალი კანდიდატია, უმცირესობათა ჯგუფებს კი არცერთი მათგანი არ წარმოადგენს. მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭიროს მხარი. ორმა ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიამ კი ცალ-ცალკე კანდიდატი წარმოადგინა.
- საარჩევნო კამპანია, რომელიც საკმაოდ აქტიურად შუქდება ადგილობრივი მედია საშუალებებითა და სოციალური ქსელებით, კონცენტრირებულია დაპირისპირებებზე და არა საპრეიდენტო მანდატის ფარგლებში არსებულ შინაარსობრივ საკითხებზე. გამოვლენილია ნეგატიური კამპანიის (ასევე ცნობილი, როგორც „შავი პიარი“) მრავალი შემთხვევა. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის მიუხედავად, აღძრულია რამდენიმე სარჩელი ამ კუთხით სავარაუდო დარღვევების გამოსავლენად, რის საფუძველზეც დაწყებულია მოკვლევა.
- რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებმაც გასულ გარჩევნებზე ყველაზე მცირე მხარდაჭერა მოიპოვა, საბიუჯეტო დაფინანსებით ისარგებლებს. დამოუკიდებელი კანდიდატები საბიუჯეტო დაფინანსებით ვერ ისარგებლებენ, მაგრამ ყველა კანდიდატს, ვინც სულ მცირე ხმათა 10 პროცენტს მიიღებს, უფლება აქვს მოითხოვოს საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას გაწეული გარკვეული დანახარჯის ანაზღაურება. კანონის მოთხოვნათა მიხედვით საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, არჩევნების დღემდე, რეგულარულად მოამზადონ ანგარიში მიღებული შემოსავლისა და ყველა დანახარჯის შესახებ; არსებული მონაცემებით სამი კანდიდატის გარდა ყველა კანდიდატი პირნათლად ასრულებს ამ მოთხოვნას. მედია გარემო მკვეთრად პოლარიზებულია. იმ პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული კანდიდატები, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსებით ისარგებლებენ, მიიღებენ უფრო ხანგრძლივ საეთერო დროს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ვიდრე დამოუკიდებელი ან სხვა პარტიების მიერ დასახელებული კანდიდატები. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეკომენდაციით მაუწყებლებმა ეთერიდან უნდა ამოიღონ ყველა პოლიტიკური რეკლამა, რომელიც უარყოფითი მხრივ წარმოაჩენს სამთავრობო პარტიის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს და შესაბამისად, სანქციები დაუწესა ერთ-ერთ უმსხვილეს ადგილობრივ ტელეკომპანიას. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და

ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ (ODIHR EOM) 24 სექტემბერს დაიწყო ექვსი ადგილობრივი სატელევიზიო არხისა და 3 ონლაინ მედია საშუალებაზე საუკეთესო საეთერო დროის კამპანიის გაშუქების რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგი.

- საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულია ბევრი საარჩევნო საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა, თუმცა საარჩევნო კომისიებს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით წარმოშობილი დარღვევების გამოსაკვლევად ერთ თვემდე ვადა ეძლევათ. დღევანდელი მონაცემებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოებში შესულია 184 საჩივარი, რომელთა უმეტესობაც საარჩევნო კამპანიის წარმართვის წესების სავარაუდო დარღვევებს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევას ეხება. 11 საჩივარი სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 124 არ დაკმაყოფილდა, 49 კი ჯერაც განხილვის მოლოდინშია.
- საარჩევნო კოდექსი შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასევე არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს დააკვირდნენ მთელი საარჩევნო პროცესის. 9 ოქტომბრის მონაცემებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა 56 მოქალაქე და 33 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია.

## II. შესავალი

18 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია (ODIHR EOM) თავისი მანდატის შესაბამისად მუშაობას შეუდგა. მისიას ხელმძღვანელობს მისიის ელჩი გერტ-ჰინრიჰ არენსი. მისიის ძირითადი გუნდი შედგება თბილისში მომუშავე 14 წევრისგან და 28 ხანგრძლივადიანი დამკვირვებლისგან, რომლებიც 26 სექტემბრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდნენ. მისიის წევრები ეუთოს წევრი 20 ქვეყნიდან შეირჩნენ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) ეუთოს წევრ ქვეყნებს კენჭისყრის დღეს პროცედურებზე დაკვირვების მიზნით 350 მოკლევადიანი დამკვირვებლის გამოგზავნა სთხოვა.

## III. ისტორია

28 ოქტომბერს ქვეყნის პრეზიდენტს ბოლოჯერ აირჩევნ პირდაპირი არჩევნების წესით. საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებები ძალაში შევა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისას, რაც შემდგომ გამოიწვევს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას. საქართველოს პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება ფართო კონსენსუსის გარეშე

მიიღო<sup>1</sup>. ამას გარდა, შეტანილი ცვლილებები მნიშვნელოვნად შეამცირებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, რითაც დასრულდება 2010 წელს ინიცირებული საპრეზიდენტო მოწყობიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას პროცესი<sup>2</sup>.

2016 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები მმართველი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებით დასრულდა. „ქართულმა ოცნებამ“ 150 ადგილიდან 115 მოიპოვა. წამყვანმა საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, კი მხოლოდ - 27 მანდატი მიიღო და არჩევნებიდან რამდენიმე თვეში დაიშალა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოცდაერთმა პარლამენტარმა პარტია დატოვა და ჩამოაყალიბა „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“. 2017 წელს ჩატარებულმა ადგილობრივმა არჩევნებმა კიდევ უფრო გაამყარა მმართველი პარტიის პოზიციები, მოიპოვა რა 64-დან 62 მერის მანდატი და უმრავლესობა 64-დან 63 ადგილობრივ საკრებულოში. ამ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 2018 წლის ივნისში პრემიერ მინისტრი გადადგა, ივლისში კი ახალი მთავრობა დაინიშნა<sup>3</sup>.

რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ და სავარაუდო უპირატესობის მქონე პოლიტიკურმა სუბიექტმა, მათ შორის მოქმედმა პრეზიდენტმა, უარი განაცხადეს ამ არჩევნებში მონაწილეობაზე, რის მიზეზადაც შეზღუდული საპრეზიდენტო მანდატი დაასახელეს. მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა მხარი დამოუკიდებელი კანდიდატისთვის დაეჭირა და თავისი გადაწყვეტილება ახსნა იმ არგუმენტით, რომ ქვეყნის პრეზიდენტი არცერთი პარტიის წარმომადგენელი არ უნდა იყოს. დანაწევრებულმა საპარლამენტო ოპოზიციამ („ევროპული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ცალ-ცალკე კანდიდატები წარმოადგინეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მეთაურობით შექმნილ კოალიციაში „ძალა ერთობაშია“, რომელიც 2018 წლის ივლისში შეიქმნა, შემავალმა შედარებით მცირე ცხრა ოპოზიციური პარტიიდან ოთხმა თავიანთი საპრეზიდენტო კანდიდატები წარმოადგინა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ამ ცვლილებების თაობაზე ფართო კონსენსუსის მიღწევა. პროტესტის მიზნით საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს 2017 წლის 26 სექტემბერს გამართულ კენჭისყრას, რის შედეგადაც ცვლილება მხოლოდ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიიღეს მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა შეძლო. ამას გარდა, 2017 წლის აპრილში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებულ გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხულთა 84% პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას უჭერს მხარს.

<sup>2</sup> 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, პრეზიდენტი პასუხისმგებელი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და მთავრობის შემადგენლობის შერჩევაზე. 2010, 2013 და 2017 წლებში კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა უფლებამოსილების ეს სფეროები პრემიერ მინისტრს გადააბარა, რადგან პრემიერ მინისტრი მთავრობის მეთაური და პარლამენტთან ანგარიშვალდებული აღმარულებელი ხელისუფლების უმაღლესი რგოლს წარმოადგენს.

<sup>3</sup> პრემიერ მინისტრმა თანამდებობიდან გადადგომის მიმართვაში თავისი გადაწყვეტილების მიზეზად დაასახელა პარტიის თავმჯდომარესთან ეკონომიკურ და სხვა ფუნდამენტურ საკითხებზე წარმოშობილი უთანხმოება.

<sup>4</sup> კოალიციის აღნიშნულმა წევრებმა თითო-თითო კანდიდატი წარმოადგინა: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ და „პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო“

არჩევნები 2018 წლის მისში ჩატარებული სახალხო მსვლელობებისა და ქუჩის პროტესტების შემდეგ გამოწვეული ზოგადი სოციალური მღელვარების ფონზე ჩატარდება. აღნიშნული გარემოების გამამწვავებელი ფაქტორი ერთის მხრივ დაკავშირებული იყო მცირეწლოვანთა მკვლელობის საქმეში სასამართლო სისტემის მიკერძოებულობის აღქმით და ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დროს დაკავებულთა მიმართ სასტიკი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებით. ხსენებული დემონსტრაციების საწინააღმდეგოდ ასევე გაიმართა ლგბტ-თემის საწინააღმდეგო და თვითგამოცხადებულ ფაშისტთა მარშები. უკანასკნელ პერიოდში კი მედიის ყურადღება მიპყრობილია რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის სახელთან დაკავშირებული სავარაუდო კორუფციული გარიგების ფაქტზე.<sup>5</sup>

#### IV. სამართლებრივი ჩარჩო

საპრეზიდენტო არჩევნები უპირველეს ყოვლისა რეგულირდება 1995 წლის კონსტიტუციით, 2011 წელს მიღებული საარჩევნო კოდექსით, 1997 წელს მიღებული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით და დადგენილებით. ამ დროისთვის უკანასკნელი ცვლილებები საარჩევნო კოდექსში 2017 წელსა და 2018 წლის ივლისში შევიდა.

2018 წლის მარტში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებათა წინადადებები, რომელზედაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა თავისი კომენტარის გაკეთება შეძლეს. პარლამენტმა შეთავაზებული ცვლილებების უმრავლესობა ფართო პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე მიიღო.<sup>6</sup>

თუმცა არ გაითვალისწინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადება ხმების დათვლის პროცედურის გამარტივების თაობაზე, რომელიც ზედმიწევნით ეხმიანება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) რეკომენდაციებს.

ბოლოდროინდელი ცვლილებების მიხედვით კენჭისყრის დღეს იკრძალება ამომრჩეველთა პირადი მონაცემების შეგროვება, დამკვირვებელთა უფლებამოსილების ვადა იზრდება და სცდება საარჩევნო პერიოდს, ოფიციალური მისამართის არმქონე მოქალაქეები აღარ დარჩებიან ამომრჩეველთა სიის მიღმა, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში კი იკრძალება კანდიდატის მოხსნა. თუცადა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ შემუშავებული რამდენიმე ადრეული რეკომენდაცია, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, წინასაარჩევნო კამპანიის

<sup>5</sup> 5 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მთავარმა პროკურატურამ გააკეთეს განცხადება ხსენებულ საქმეებზე მიმდინარე საგამომიებო პროცედურების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის ავთენტური.

<sup>6</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა უმრავლესობა კენჭისყრას არ დასწრებია.

წარმართვისა და დაფინანსების რეგულაციებს, საარჩევნო დავების გადაწყვეტას, უფასო სატელევიზიო დროის გამოყოფის წესებსა და არჩევნების მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებს ეხებოდა, კვლავაც გაუთვალისწინებელი რჩება.

2017 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით საპრეზიდენტო ვადა ექვს წლამდე გაიზარდა. კანდიდატს არჩევნების პირველივე ტურში გამარჯვების მოსაპოვებლად „ნამდვილი ხმების“ 50 პროცენტი სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ტურის კენჭისყრის შედეგების ოფიციალური გამოცხადებიდან ორ კვირის თავზე ინიშნება არჩევნების მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც პირველ ტურში ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღეს.

## V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება ხორციელდება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო და 3,637 საუბნო საარჩევნო კომისიისგან<sup>7</sup> შედგება. 2017 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით შეიცვალა კომისიათა შემადგენლობის ფორმულა და ყველა დონეზე თორმეტამდე შემცირდა კომისიის წევრთა რაოდენობა, რომელთაგანაც ექვსს პოლიტიკური პარტიები ასახელებენ. იმ შვიდ პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც ყველაზე მეტ დაფინანსებას იღებდნენ ბიუჯეტიდან, ჰქონდათ თითო-თითო კანდიდატის დასახელების უფლება. ახლა ამ უფლებით მხოლოდ საპარლამენტო ფრქვიების მქონე პარტიები სარგებლობენ და თითოეული პარტიიდან დასახელებულ კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებულ ხმათა რაოდენობა. ამ ცვლილებამ საგრძნობლად გაზარდა საარჩევნო ადმინისტრაციის კომისიების ყველა დონეზე მმართველი პარტიის წარმომადგენელთა რაოდენობა, ე.ი. სამი წევრი თითო კომისიაში.<sup>8</sup>

პრეზიდენტი ასახელებს კიდევ ხუთ არაპარტიულ წევრს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზე, რომლებსაც ნიშნავს პარლამენტი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას ასევე ასახელებს პრეზიდენტი, მისი არჩევა კი ცესკოს წევრთა ორი მესამედის მიერ ხდება. ამჟამად ცესკოს თავმჯდომარე და კომისიის კიდევ ორი წევრი ქალია.

საოლქო და საუბნო კომისიების კიდევ ექვს წევრს ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისია ან საოლქო კომისია არაპარტიული განმცხადებლებისთვის ჩატარებული ღია კონკურსის

<sup>7</sup> დამატებით 59 საარჩევნო უბანი დაარსდა საზღვარგარეთ 43 ქვეყანაში დიპლომატიურ და საკონსულო მისიებში ქვეყნის გარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის.

<sup>8</sup> ნომინანტთა რაოდენობა ითვლება პარტიის მიერ მოპოვებული ხმების ექვსზე გამრავლებით და ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მოპოვებულ ხმათა რაოდენობაზე გაყოფით, რომლებიც ამ მოწვევის პარლამენტში ფრაქციებს ჩამოაყალიბებენ. „ქართულ ოცნებას“ ყველა კომისიაში სამი წარმომადგენელი ეყოლება, „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, „ევროპულ საქართველოს“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ კი თითო-თითო. სამოქალაქო საზოგადოების წარმომგენელი ორგანიზაციების ერთი ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი კომისიების ამგვარი შემადგენლობის მიმართ.

მეშვეობით.<sup>9</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ადრეული რეკომენდაციების მიუხედავად, საარჩევნო კოდექსში არ შესულა სათანადო ცვლილება, რომელიც ამგვარი შერჩევითვის კრიტერიუმს შეიმუშავებდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა არასავალდებულო რეკომენდაცია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევით თაობაზე. ეს რეკომენდაცია საოლქო საარჩევნო კომისიებს ურჩევდა, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევითსასყურადღება გაემახვილებინათ განმცხადებელთა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლის რანგში მიღებულ წინარე გამოცდილებაზე. ასევე გაეთვალისწინებინათ მათი სამუშაო მოსწრება, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამართულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა და თავი შეეკავებინათ ისეთი განმცხადებლების შერჩევითგან, რომელთაც გასულ ორ წელში რამდენიმე დისციპლინური სანქცია დაუწესდათ.<sup>10</sup> ამას გარდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეკომენდაციით წახალისებულია მედიის, დამკვირვებლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დასწრება საოლქო საარჩევნო კომისიებში გამართულ შერჩევით პროცესებს<sup>11</sup> საარჩევნო პროცესში ჩართულმა რამდენიმე სუბიექტმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) წარმომადგენლებთან შეხვედრებისას შემოთავაზა, რომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევით პროცესი არ მიმდინარეობდა გამჭვირვალედ. მათი თქმით კომისიის ზოგიერთი წევრი სავარაუდოდ პოლიტიკური მიკუთვნებულობის ნიშნით შეირჩა და აღნიშნა, რომ შერჩევით პროცესში ხშირია ნეპოტიზმის ფაქტებიც.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის ანგარიშის თანახმად ყველა საუბნო საარჩევნო კომისია შექმნილია. პირველი სხდომები ყველა კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში ჩაატა. საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობაში, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული წევრები აირჩნეს კომისიების თავმჯდომარეებად, თავმჯდომარის მოადგილეებად და მდივანებად.<sup>12</sup> ცესკოს მონაცემების მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა თითქმის 64 პროცენტს ქალები შეადგენენ, საიდანაც 36 პროცენტი თავმჯდომარეა. საუბნო საარჩევნო კომისიებში კი ქალთა რაოდენობა 73 პროცენტია. მათ შორის 64 პროცენტი თავმჯდომარეა. საუბნო საარჩევნო კომისიების. ეთნიკურად სომხური მოსახლეობით დასახლებული რაიონების საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში ეროვნული

<sup>9</sup> საოლქო საარჩევნო კომისიის ხუთი წევრი აირჩევა ხუთი წლის ვადით; მეექვსე წევრი კი აირჩევა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

<sup>10</sup> ცესკოს მონაცემების მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიების შერჩეულ წევრთა 84 პროცენტი გასული 5 წლის მანძილზე სულ მცირე ერთხელ მაინც მონაწილეობდა საარჩევნო პროცესში, 29 პროცენტზე მეტს მონაწილეობა მიუღია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ საგანმანათლებლო პროგრამებში და მხოლოდ 2 პროცენტს ჰქონდა ბოლო ორი წლის განმავლობაში დაფიქსირებული დისციპლინარული გადაცდომები. ცესკოს მონაცემების მიხედვით 21,822 ვაკანტურ პოზიციაზე 29,797 განაცხადი დარეგისტრირდა.

<sup>11</sup> ცესკოს მონაცემების მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიებში ჩატარებულ სხდომებს სულ 208 დამკვირვებელი, 18 ადგიობრივი ორგანიზაცია, 7 საარჩევნო სუბიექტის 72 წარმომადგენელი და 3 მედია საშუალების 5 წარმომადგენელი ესწრებოდა.

<sup>12</sup> საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები შემთხვევების 91 პროცენტში არჩეული წევრებიდან დაინიშნენ, თავმჯდომარის მოადგილეები - 84 პროცენტიდან, მდივნები კი - 86 პროცენტიდან.

უმცირესობები მეტნაკლებად კარგად არიან წარმოდგენილი, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიებშია კარგად წარმოდგენილი<sup>13</sup>.

დღევანდელი მონაცემებით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა ჩაატარეს სხდომები, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისა და მედიის წარმოდგენლებისთვის. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ადრეული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმები და გადაწყვეტილებები ასევე ხელმისაწვდომია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე. ცესკოს სასწავლო ცენტრმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო ქვედა დონის კომისიების წევრთა გადასამზადებელი მეთოდოლოგიის დასახვეწად. ამჟამად მიმდინარე ტრენინგები მოიცავს პრაქტიკულ სავარჯიშოებს და ორიენტირებულია კომისიის წევრთა და ლიდერთა პირადი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე.

## VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება გააჩნია არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა, რომელთაც პატიმრობა ხუთ წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი. ხმის მიცემის უფლება ასევე არ აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდაჭერის მიმღების სტატუსის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც კენჭისყრის დღისთვის იმყოფებიან სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. საქართველოში ამომრჩეველთა რეგისტრაციის პასიური სისტემა მოქმედებს. ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენაზე, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ადგენს.

ამოქმედებულია დროებითი პროცედურები, რომლებიც ოფიციალური მისამართის არმქონე პირებს შესაძლებლობას აძლევს ამომრჩეველთა სიაში ფაქტობრივი (დროებითი) მისამართით ან ძველი ოფიციალური მისამართით დარეგისტრირდნენ. უკანასკნელი ცვლილებების გათვალისწინებით ამომრჩეველი ავტომატურად რეგისტრირდება ამომრჩეველთა სიაში, თუ მისი ფაქტობრივი ან ძველი მისამართი დაფიქსირებულია იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ადრეული რეკომენდაციების ნაწილობრივ გათვალისწინების შედეგად, იმ შემთხვევაში თუ მოქალაქის მისამართი არ არის დაფიქსირებული, ამჟამად ამომრჩეველმა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა

<sup>13</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეფასებით ეთნიკურად სომხური მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 47 პროცენტი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 68 პროცენტი ეთნიკურად სომეხია. ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში საოლქო საარჩევნო კომისიების არცერთი წევრი არ არის აზერბაიჯანელი, საუბნო საარჩევნო კომისიებში კი მათი რაოდენობა 40 პროცენტია.



მიმართოს არჩევნებამდე არაუგვიანეს 21 დღემ. ამომრჩეველთა სიის სიზუსტის დასადგენად, ის ამომრჩევლები, რომლების მოხსნილი არიან რეგისტრაციიდან ან არ გააჩნიათ მოქმედი პირადობის მოწმობა, პასპორტი ან ფოტოები, იღებენ შეტყობინებას იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან და შესაძლებლობა ეძლევათ პირადობის მოწმობა და ფოტოები აიღონ მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე.

ამომრჩეველთა წინასწარ სიებში 3,503,113 ამომრჩეველია დარეგისტრირებული. 28 სექტემბრიდან ამომრჩეველთა სიები ყველა საარჩევნო უბანშია გამოკრული, რათა მოქალაქეებმა საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეძლონ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩეველთა სიები გამოკრულია ყველა იმ უბანზე, რომელთა მონახულებაც მათ ამ დრომდე შეძლეს. ამომრჩეველს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმება ასევე შეუძლია საოლქო საარჩევნო კომისიაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე და მთელი ქვეყნის მასშტაბით განთავსებული დაახლოებით 10,000 სწრაფი გადახდის ტერმინალის მეშვეობით. ამომრჩეველთა სიებში შესწორების შეტანაზე მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია 10 ოქტომბრამდე. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებთან საუბარში არცერთ დაინტერესებულ მხარეს არ გამოუთქვამს ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებული წუხილი.

## VII. კანდიდატთა რეგისტრაცია

საქართველოს კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი უფლებას აძლევს 35 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ ხმის მიცემის უფლება, არ აქვთ ორმაგი მოქალაქეობა და საერთო ჯამში სულ მცირე 5 წელი, მათ შორი ბოლო 3 წელი კი უწყვეტად, უცხოვრიათ საქართველოში, კენჭი იყარონ საპრეზიდენტო არჩევნებში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ადრეული რეკომენდაციის მიუხედავად ჯერაც არ გაუქმებულა ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების მოთხოვნა.

საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ პარტიებს და ასევე სულ მცირე ხუთი ამომრჩევლის მიერ ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფებს უფლება აქვთ თითო საპრეზიდენტო კანდიდატი წარმოადგინონ. პარტიებმა და საინიციატივო ჯგუფებმა მიმართეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც მათ დაევალათ დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა სულ მცირე 0.75 პროცენტი ხელმოწერების შეგროვება.<sup>14</sup> ცესკომ წარმოდგენილი მხარდამჭერთა სიები შესაბამისი კანდიდატების

<sup>14</sup> რაც ცესკოს დადგენილი 25,923 ამომრჩეველს გულისხმობს.

წარმომადგენლების თანდასწრებით გადაამოწმა. ცესკომ ასევე გადაამოწმა მხარდამჭერდა სიაში შემავალი ამომრჩევლების პირადი მონაცემები, რომლებმაც სიას ხელი მოაწერეს და ბათილად სცნო ჩანაწერები, სადაც ამომრჩევლის მითითებული მონაცემები თანხვედრაში არ იყო ბაზაში შენახულ მონაცემებთან. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებთან საუბრისას რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ მათი ვარაუდით ამომრჩეველთა პირადი მონაცემები იყიდება და ამის გამო შეშფოთება გამოთქვეს, რომ შესაძლოა ხელმოწერების შეგროვების პროცესი დასაწყისიდანვე დარღვევებით მიმდინარეობდა.

კანდიდატის დასარეგისტრირებლად ცესკოს საერთო ჯამში 46 პარტიამ და საინიციატივო ჯგუფმა მიმართა. აქედან 25 კანდიდატი დარეგისტრირდა. მათგან 19 პოლიტიკურმა პარტიებმა, ექვსი კი საინიციატივო ჯგუფმა წარმოადგინა. 21 წარმოდგენილ კანდიდატს სხვადასხვა მიზეზით ეთქვა უარი.<sup>15</sup> რეგისტრაციის პროცესის შესახებ ცესკოსთვის საჩივრით არავის მიუმართავს. დარეგისტრირებულ კანდიდატებს შორის 2 კანდიდატი ქალია. არცერთი დარეგისტრირებული კანდიდატი არ წარმოადგენს უმცირესობათა ჯგუფებს. კანდიდატებს თავისი კანდიდატურის მოხსნა 12 ოქტომბრამდე შეუძლიათ.

## VIII. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საარჩევნო კამპანიის დასაწყისად განისაზღვრა 60 დღე კენჭისყრის დღემდე და შესაბამისად საარჩევნო კამპანია დაიწყო 2018 წლის 29 აგვისტოს. შედეგად, არჩევნების გამოცხადებიდან კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე არსებულ პერიოდში ბუნდოვანი იყო, თუ როგორ ხდებოდა საარჩევნო აქტივობების რეგულირება. საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს საარჩევნო კამპანიის „სიჩუმის დღეს“, ხოლო კენჭისყრის დღეს აგიტაცია იკრძალება მხოლოდ მედია საშუალებებითა და საარჩევნო უბნებზე. ოქტომბრის დასაწყისში საპრეზიდენტო კანდიდატების უმრავლესობა შეთანხმდა და ხელი მოაწერა „ეთიკის პრინციპებს“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შუამავლობით შექმნილ დოკუმენტს, რომელიც კანდიდატების მიერ აღებული ვალდებულებების ერთგვარი დეკლარაციაა.<sup>16</sup>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო კამპანია უფრო თვალსაჩინოა ეროვნული მედია საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში, ვიდრე ღია სივრცეში, განსაკუთრებით დაბალია კამპანიის ხილვადობა რეგიონებში საარჩევნო კამპანია კონცენტრირებულია დაპირისპირებებზე და არა საპრეზიდენტო მანდატის ფარგლებში არსებულ შინაარსობრივ

<sup>15</sup> ცხრამეტმა საინიციატივო ჯგუფმა არ წამოადგინა მხარდამჭერთა ხელმოწერები, ერთმა საინიციატივო ჯგუფმა არ შეასწორა დოკუმენტებში აღმოჩენილი დარღვევები, ერთი პოლიტიკური პარტია კი არ იყო დარეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში.

<sup>16</sup> კანდიდატებმა დადეს პირობა, რომ დაიცავენ კანონის უზენაესობას და არ მიმართავენ ძალადობას, სიძულვილის ენას, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას, ამომრჩეველთა დაშინებას, დისკრიმინაციას, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას და შეურაცხყოფას.

საკითხებზე. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) მიერ შეინიშნა ნეგატიური კამპანიის მრავალი შემთხვევა, ცრუ ინფორმაციის გავრცელების ფაქტებზე კი, რომლებიც ყველაზე ხშირად მიმართული იყო „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის იმიჯის შესაღებად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომდგენლებმა დაინტერესებულ მხარეებთან საუბრისას შეიტყვეს.<sup>17</sup> საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციულ ღირებულებებთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა დებატებმა ქართული მართმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო, რომლებმაც საჯაროდ დააფიქსირეს თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები მიუხედავად წინასაარჩევნო კამპანიაში რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობის აკრძალვისა.<sup>18</sup>

სამი კანდიდატი ყველაზე აქტიურად განაგრძობს ამომრჩეველთან შეხვედრას და წინასაარჩევნო კამპანიის მასალების გამოქვეყნებას. ესენი არიან: დავით ბაქრაძე („ევროპული საქართველო“), გრიგოლ ვაშაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და სალომე ზურაბიშვილი („ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი). რეგიონებში რამდენიმე მცირემასშტაბიანი შეკრება გაიმართა და კანდიდატთა უმრავლესობამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებს აცნობეს, რომ ისინი არჩევნებამდე დარჩენილ ვადაში აპირებენ უფრო მეტად გაამლიერონ ძალისხმევა და გააფართოვონ წინასაარჩევნო კამპანია. რადგან ყველა კანდიდატს თანაბრად არ მიუწვდება ხელი საბიუჯეტო დაფინანსებაზე, შედარებით მცირე საარჩევნო სუბიექტები ამომრჩეველთან საკომუნიკაციო მთავარ საშუალებად „ფეისბუქის“ იყენებენ, რა საზოგადოებასთან პირდაპირი ინტერაქციის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული საშუალებაა.

წინასაარჩევნო კამპანიაში გენდერულ და ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს არც თუ დიდი ადგილი უჭირავთ. რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა შეხვედრები გამართა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

სახელმწიფო უწყებებმა გაამლიერეს ძალისხმევა ადმინისტრაციული რესურსების

<sup>17</sup> მაგალითად, ტელევიზიით გავიდა რამდენიმე ნეგატიური შინაარსის მატარებელი სატელევიზიო რეკლამა, რომელიც „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების იმიჯის შელახვას განიზრახავდა; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სატირული ხასიათის პლაკატები გამოჩნდა სოციალურ ქსელში და გაიკრა დედაქალაქის ქუჩებში და მაღალჩინოსანი მოხელეების სახელით გაგზავნილი სულ მცირე ერთი წერილი გავრცელდა, რომელიც ამომრჩევლებს მოუწოდებდა, არ მიეცათ ხმა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის.

<sup>18</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45.4(ზ)

გამოყენების<sup>19</sup> აკრძალვასთან დაკავშირებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიაზე, რომელიც ბენეფიციარებისთვის არის განსაზღვრული. ცესკომ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან და რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან, გამოაქვეყნა სახელმძღვანელო დაჩაატარა ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რეგიონალური ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის<sup>20</sup> წინასაარჩევნო კამპანიის ინტერნეტით წარმართვის მზარდი პოპულარობის გამო, მემორანდუმის ხელმომწერები შეთანხმდნენ, რომ საკომუნიკაციო საშუალებების ბოროტად გამოყენებაში მოიაზრება არამხოლოდ ოფიციალური ვებგვერდები და სოციალური მედიის ანგარიშების გამოყენება, არამედ ასევე წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით სახელმწიფოს კუთვნილი ელექტრონული მოწყობილობებიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინტერნეტით პირადი პლატფორმებით სარგებლობაც. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საჩივარი შეტანილი ვებგვერდებისა და სოციალური მედიის ბოროტად გამოყენების თაობაზე, მსგავს ქმედებებზე სწრაფი რეაგირებისთვის კანონის ბერკეტები შეზღუდულია.

## IX. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხებს არეგულირებს 2011 წელს მიღებული საარჩევნო კოდექსი, 1997 წელს მიღებული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და 2008 წელს მიღებული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“.<sup>21</sup> პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობა ბოლო საპრეიდენტო არჩევნების შემდეგ თითქმის არ შეცვლილა, კანონმდებლობაში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებებით კი არ ითვალისწინებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR)-სა და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის

<sup>19</sup> ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში იგულისხმება საჯარო მოხელის მიერ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო ან საკომუნიკაციო საშუალებებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ღონისძიებების წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება. საჯარო მოხელეთა გარკვეულ კატეგორიას სრულიად ეკრძალება საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. მათ შორის, საარჩევნო კომისიის წევრებს, მოსამართლეებს, გენერალურ აუდიტორს, პროკურატურის თანამშრომლებს, უცხოელებს, საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს და ა.შ.

<sup>20</sup> 24 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ტრენინგები ჩაუტრდა 174 მონაწილეს

<sup>21</sup> ამ კანონებს ემატება 2016 წელს გენერალური აუდიტორის მიერ გამოცემული განკარტულება, რომელშიც ამ დროისთვის ბოლო ცვლილება 2018 წელს შევიდა, რათა მოხდეს არაფულადი სახით მიღებული შემოწირულობების, მათ შორის მოხალისეობრივი მუშაობისთვის, საფუძვლის განსაზღვრა და მსგავსი პროდუქტების/სერვისების საბაზრო ფასად დეკლარირება.

(GRECO) მიერ ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.<sup>22</sup>

კანონით გათვალისწინებულია როგორც კერძო, ასევე საბიუჯეტო დაფინანსების წყაროები. პარტიებს საბიუჯეტო დაფინანსების მიღება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში ხმათა სულ მცირე სამი პროცენტი მიიღეს, ან ისეთ შემთხვევაში თუ პარლამენტის რომელიმე ფრაქციაში სულ მცირე ერთი მაჟორიტარი დეპუტატი მაინც ჰყავთ.<sup>23</sup> საბიუჯეტო დაფინანსებით ვერსარგებლობენ დამოუკიდებელი კანდიდატები. თუმცა, ყველა კანდიდატი, რომელიც პირველ ტურში ათპროცენტთან ზღვარს გადალახავს, მიიღებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს 1,000,000 ლარამდე (დაახლ. 328,472 ევრო)<sup>24</sup> გაწული დანახარჯების ანაზღაურებას.

თითოეული პარტიის წლიური დანახარჯი, მათ შორის, თავისი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის გაწული დანახარჯები და ასევე დამოუკიდებელი კანდიდატის დანახარჯები, არ უნდა აღემატებოდეს გასული წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 0.1 პროცენტს.<sup>25</sup> ერთი ან რამდენიმე პარტიის ან კანდიდატის მიერ თითოეული მოქალაქისგან საბაკო გადარიცხვით მიღებული შემოწირულობის საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60,000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისგან მიღებული შემოწირულობის საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120,000 ლარს.<sup>26</sup> კანონით არ კრძალავს არაფულადი სახით მიღებულ შემოწირულობებს და პოლიტიკურ პარტიებს ასევე შეუძლიათ აიღონ ერთ მილიონ ლარამდე ოდენობის საბანკო სესხი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის. აკრძალულია შემოწირულობების მიღება უცხოური, საბიუჯეტო, რელიგიური და ანონიმური წყაროებიდან. კანონი ასევე კრძალავს პოლიტიკური პარტიების მხრიდან დამოუკიდებელი კანდიდატისთვის შემოწირულობების გადაცემა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატში შედის პოლიტიკური პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების პროცესის ზედამხედველობა და კანონდარღვევებზე რეაგირება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეუძლია დააწესოს სანქციები წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოვლენილ კანონდარღვევებზე, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია შემოწირული თანხებისა და ქონების

<sup>22</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებთან შეხვედრისას რამდემე დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა გაუმართავი და არათანმიმდევრულია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, პარლამენტმა არ გაითვალისწინა მათ მიერ კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

<sup>23</sup> მიმდინარე არჩევნებში იმ 19 პარტიიდან, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს (კვალიფიციური სუბიექტები), 16-მა თავისი კანდიდატი წარმოადგინა.

<sup>24</sup> 1 ევრო უდრის დაახლოებით 3 ქართულ ლარს

<sup>25</sup> რაც უდრის 38,042,200 ლარს (დაახლ. 12,680,733 ევროს).

<sup>26</sup> რაც, შესაბამისად, უდრის დაახლოებით 19,708 და 39,416 ევროს

წარმოშობის შესახებ.<sup>27</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი ანარიშების ნამდვილობას ამოწმებენ მედიის მონიტორინგის, საველე ვიზიტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ წამოწეული საკითხებზე რეაგირებით.<sup>28</sup>

საარჩევნო სუბიექტებმა ფინანსური ანგარიშები უნდა წარმოადგინონ არჩევნების გამოცხადების დღიდან ყოველ სამ კვირაში ერთხელ, შემოწირულობების შესახებ ინფორმაცია კი შემოწირულობის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში უნდა ასახონ ანგარიშში.<sup>29</sup> ჯერჯერობით სამი კანდიდატის გარდა ყველა კანდიდატი იცავს ანგარიშების ჩაბარებისთვის დადგენილ ვადებს.<sup>30</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები, რომლებსაც თვალსაჩინოებისთვის თან დაურთო „ექსელის“ ფორმატში მომზადებული ანგარიშიც.<sup>31</sup>

## X. მედია

მრავალფეროვანი მედია გარემო მკვეთრად პოლარიზებულია პოლიტიკურ მიმართულებების და ბიზნეს ინტერესებს შორ. ტელევიზია პოლიტიკური ინფორმაციის მიღების ძირითად, ონლაინ და სოციალური მედია კი, ნაკლებად აქტიურ წყაროდ რჩება ქვეყანაში 21 ეროვნული და 77 რეგიონული მაუწყებელი ფუნქციონირებს, თუმცა, კომერციულ მედია ბაზარზე ორი დომინანტი არხია: „რუსთავი 2“ და „იმედი“. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) შეხვედრისას მოსაუბრეები ხაზს უსვამდნენ,

<sup>27</sup> 2017 წელს ჩატარებული არჩევნების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით 135 საქმე გადაიგზავნა სასამართლოში, ჯარიმები დაწესდა 14 შემთხვევაში, დანარჩენ საქმეზე კი მხოლოდ გაფრთხილებები გაიცა.

<sup>28</sup> 20 აგვისტოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მედიის სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე მომუშავე 15 ორგანიზაცია. სამუშაო ჯგუფის მიზანია წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი რეგულაციების მოსალოდნელ დარღვევებზე მსჯელობა.

<sup>29</sup> საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ანგარიშების მომზადება ევალემატ მხოლოდ იმ პარტიებს, რომელსაც ჰყავთ ოფიციალურად დასახელებული კანდიდატები.

<sup>30</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოკითხა ათი დონორი მათი გაღებული შემოწირულობების წარმოშობის წყაროების შესახებ.

<sup>31</sup> საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა ამ დროისთვის შეადგენს დაახლოებით 2,497,945 ლარს. დაახლოებით 1,619,304 ლარის შემოწირულობა მიიღო სალომე ზურაბიშვილმა, დაახლოებით 392,384 ლარის შემოწირულობა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და დაახლოებით 432,515 ლარი „ევროპულმა საქართველომ“. ანგარიშების მიხედვით, სალომე ზურაბიშვილმა გახარჯა დაახლოებით 1,920,516 ლარი, „ევროპულმა საქართველომ“/დავით ბაქრაძემ – 721,927 ლარი, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“/გრიგოლ ვაშაძემ 751,176 ლარი და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 185,697 ლარს. ყველა დანარჩენმა კანდიდატმა საერთო ჯამში დანახარჯი დაახლოებით 1,0908,20 ლარი. ოთხმა კანდიდატმა განაცხადა, რომ ამ პერიოდში არანაირი დანახარჯი არ ჰქონია.

რომ მედია გარემო მყიფე და არამდგრადია, განსაკუთრებით კი შემცირებულ სარეკლამო ბაზრის და „რუსთავი 2“-ის მფლობელობის საკითხზე მიმდინარე დავის ფონზე, აგრეთვე, „პალიტრა მედია ჰოლდინგის“ გარშემო მიმდინარე გამოძიებისა და „ომეგა ჯგუფის“ საკუთრებიდან გადასახადების იძულებით ამოღების პოტენციური საფრთხის გამო, რამაც შესაძლოა ტელეკომპანია „იბერიას“ საქმიანობაზე მოახდინოს გავლენა.

საარჩევნო კოდექსი მედიისგან საარჩევნო კამპანიების სამართლიან და მიუკერძოებელ გაშუქებას მოითხოვს. საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო რეკლამებისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფა ევალუაბათ. კანდიდატებს, რომლებსაც ეკუთვნით თავისუფალი ეთერი, ეძლევათ საათში სულ მცირე 5წთ საზოგადოებრივ და 3 საათში 7.5წთ კერძო ადგილობრივ სამაუწყებლო მედიასაშუალებებში<sup>32</sup> რეგიონული მაუწყებლები ვალდებული არიან კანდიდატებს თავისუფალი დრო დაუთმონ, თუ ისინი ასევე განათავსებენ ფასიან პოლიტიკურ რეკლამებს.<sup>33</sup> სხვა კანდიდატებს ასევე უფლება აქვთ უფასო საეთერო დროით ისარგებლონ, თუმცა დროის ზუსტი ოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაწყვიტა თითოეულ კანდიდატს მთავარ გამოშვებაში ინტერვიუს სახით 10წთ დაუთმოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე გეგმავს ზოგადი დებატების ფორმატით დისკუსიის სამჯერ და დამატებით, 2 ან 3 კანდიდატს შორის, საუკეთესო დროს გამართვოს ცხრა სამოცწუთიანი დისკუსია.

თექვსმეტივე კანდიდატმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ უფასო საეთერო სივრცე, ამ უფლებით უკვე ისარგებლეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციის მიერ დასახელებულმა ოთხმა კანდიდატმა უფასო საეთერო სივრცე კოალიციის კანდიდატის მხარდაჭერას და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარისა და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის კრიტიკას დაუთმო. ქართული ოცნების კოალიციის პარტნიორმა პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ კუთვნილ უფასო საეთერო დროს, სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა გამოხატა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გააკრიტიკა. სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელმა უწყებამ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, 25 სექტემბერს მაუწყებლებს მოსთხოვა ეთერიდან ამოეღოთ სამი ნეგატიური რეკლამა, რომლებიც „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან ეს, კომისიის განმარტებით, მაუწყებლობის შესახებ კანონთან<sup>34</sup> შეუსაბამო იყო. მოგვიანებით, კომუნიკაციების

<sup>32</sup> რუსთავი 2-მა პირველად მიიღო გადაწყვეტილება პარტიათა მიერ ნომინირებული კვალიფიციური კანდიდატებისთვის დათმობილი უფასო საეთერო დრო გაეზარდა 10-14 წუთამდე. ეს გადაწყვეტილება გააკრიტიკა სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელმა ორგანომ, რადგან ამით შემცირდებოდა რეგიონული მაუწყებლების შემოსავალი ფასიანი რეკლამებიდან.

<sup>33</sup> 22 რეგიონული მაუწყებელი პრეტენდენტებს უფასო საეთერო დროს უთმობს.

<sup>34</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აზრით რეკლამა, რომელიც მოიხსენებდა ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, როგორც „მოლაღატე“-ს არ იყო ეთიკური, ასევე რეკლამა შეიცავდა კანდიდატის მხრიდან უწმაწურ სიტყვებს, რაც წარმოადგენდა უხამსობას. სხვა რეკლამაში თოქშოუს წამყვანი უსვამს კითხვას კანდიდატს, რაც მიჩნეულ იქნა იმ წესის დარღვევად, რომელიც კრძალავს პოლიტიკური თოქშოუების წამყვანთა ჩართვას საარჩევნო რეკლამებში.

ეროვნულმა კომისიამ განმარტა, რომ მოთხოვნას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, თუმცა მაუწყებელთა უმრავლესობამ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა აღნიშნული მოთხოვნა.

ფასიანი რეკლამის განთავსება ყველა მაუწყებელზეა შესაძლებელი, იმ შემთხვევაში, თუ ტარიფები წინასწარ არის გამოქვეყნებული და ყველა კანდიდატისთვის თანაბარია. ასევე მაუწყებლები ვალდებული არიან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველ კვირას რეკლამების განთავსების შესახებ აცნობონ. კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი 2“ 1500 ლარით დააჯარიმა, იმის გამო, რომ მაუწყებელმა 15-16 აგვისტოს კომისიაში საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, ეთერში „ევროპული საქართველოს“ კანდიდატის პოლიტიკური რეკლამა გაუშვა. „რუსთავი 2“ აღნიშნულ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს.<sup>35</sup>

24 სექტემბერს, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ (ODIHR EOM) 6 სატელევიზიო არხს<sup>36</sup> და სამი ონლაინ მედია საშუალებაზე<sup>37</sup> საარჩევნო კამპანიის გაშუქების რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგი დაიწყო.

## XI. საჩივრები და სარჩევნები

რეგისტრირებულ კანდიდატებსა და აკრედიტებულ დამკვირვებლებს უმეტეს შემთხვევაში შეუძლიათ საჩივრის შეტანა, ხოლო ამომრჩევლებს საჩივრის შეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ისინი არ არიან საარჩევნო სიაში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები შესაძლოა გასაჩივრდეს შესაბამის ზედა დონის კომისიაში და შემდეგ შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. საარჩევნო დავების გადაწყვეტისთვის საბოლოო ინსტანციას სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს.<sup>38</sup>

აღნიშნული შემთხვევები ექვემდებარება სწრაფი პროცედურების გავლას, რაც გულისხმობს საჩივრის რეგისტრაციისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის ერთ ან ორ დღეს. ახლახანს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებში არ იქნა გათვალისწინებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR)

<sup>35</sup> რუსთავი2-ი დავობს, რომ პროცედურების ინიცირება სამართლებრივი ვადის ამოწურვამდე მსგავსი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე მოხდა და მანამდე სანამ დავით ბაქრაძე რეგისტრირებულ იქნებოდა კანდიდატად.

<sup>36</sup> ტელევიზია: საზმაუ 1 (საზოგადოებრივი), ტელეკომპანია აჭარა (საზოგადოებრივი), „რუსთავი 2“, „იმედი“, „პირველი“ და „იბერია“.

<sup>37</sup> [ინტერპრესნიუსი](http://interpressnews.ge), [ნეტგაზეთი](http://netgazeti.on.ge), [On.ge](http://On.ge), და ტაბულა.

<sup>38</sup> საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები საარჩევნო სიაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უარყოფის ან სადამკვირვებლო ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ შესაძლოა გასაჩივრდეს პირდაპირ სასამართლოში.



რეკომენდაციები საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემის გამარტივებასთან და გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებული წესების გაფართოებასთან.<sup>39</sup> დაკავშირებით.

საარჩევნო კამპანიის წარმოების წესების დარღვევა ზოგადი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების მიხედვით რეგულირდება. აღნიშნულ შემთხვევებს განიხილავს მხოლოდ ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს. საჩივრის შეტანიდან საარჩევნო კომისიებს აქვთ ერთი თვის ვადა, რათა საკითხი განიხილონ და გადაწყვეტილება მიიღონ ადმინისტრაციული ოქმის საქალაქო ან რაიონული სასამართლოსთვის გადასაგზავნად ადმინისტრაციული სანქციების დაკისრების მოთხოვნით. <sup>40</sup> სასამართლოებს აქვთ 15 დღის ვადა გადაწყვეტილების გამოსატანად. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც ჩაითვლება საბოლოოდ.<sup>41</sup>

ცესკო საჯაროდ ხელმისაწვდომ ონლაინ რეესტრს აწარმოებს, სადაც კომისიებში ან სასამართლოებში შეტანილი საჩივრები ფიქსირდება. დღევანდელი მონაცემებით საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებზე 184 საჩივარი იქნა წარდგენილი, 2 სარჩელი კი შევიდა სასამართლოში. საჩივრების ძირითადი ნაწილი საარჩევნო კამპანიის წარმოების წესების დარღვევას, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში დაფიქსირებულ პროცედურულ დარღვევებს და საუბნო კომისიის წევრთა დანიშვნის ლეგიტიმურობას ეხება. აღნიშნული საჩივრებიდან მხოლოდ ოთხი იქნა დაკმაყოფილებული, 7 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 49 ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.<sup>42</sup> ინდივიდუალური პასუხი ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემულ იქნა 68 შემთხვევაში. საჩივრების დარჩენილი ნაწილი ტექნიკური გაუმართაობის ან მტკიცებულებების ნაკლებობის გამო იქნა უარყოფილი. ცესკოს სხდომების მიმდინარეობისას საჩივრები არ განუხილავს.

კანონის შესაბამისად ივნისში შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის ((IACFFE) და მანდატით განესაზღვრა უფლებამოსილება „უზრუნველყოს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან საარჩევნო დარღვევების პრევენცია და

<sup>39</sup> ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებები უარი თქვას მსგავსი სანქციების დადებაზე არ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციაში. .

<sup>40</sup> საჩივრის შეტანის საფასური სულ მცირე 100 ლარს შეადგენს (დაახლოებით 33 ევრო) პირველი ინსტანციისთვის და 150 ლარს (დაახლოებით 50 ევრო) გასაჩივრებისთვის.

<sup>41</sup> საოლქო კომისიის მიერ დაკმაყოფილებული საჩივრები შეეხებოდა საარჩევნო უბნებზე უმნიშვნელო პროცედურულ დარღვევებს.

<sup>42</sup> კომისია IACFFE შედგება მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისგან და ყველა პოლიტიკურ პარტიას თუ დამკვირვებელს აქვს უფლება წარმოდგენილი იყოს და მონაწილეობას იღებდეს სხდომებში. ორმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ - საერთაშორისო არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა საზოგადოება (GYLA), გადაწყვიტა შეეწყვიტა სხდომებზე დასწრება, რადგან ის ვერ ახერხებს წინასაარჩევნო დარღვევებზე ადეკვატურ რეაგირებას და ადანაშაულებს მათ ორგანიზაციას მუდმივ კრიტიკაში. ერთმა საპრეიდენტო კანდიდატმა ასევე გადაწყვიტა დაეტოვებინა ფორუმი.

მათზე რეაგირება<sup>43</sup> აღნიშნულმა კომისიამ განიხილა 17 საჩივარი და სახელმწიფო მოხელეთათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გასცა ორი არასავალდებულო რეკომენდაცია რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციას, მათ შორის სოციალური მედიის გამოყენების ჩათვლით. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებთან საუბრისას რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ შემოთავაზა გამოთქვა უწყებათაშორისი კომისიის მიუკერძოებლობისა და მისი საქმიანობის არაეფექტურობის შესახებ. ამ ეტაპზე საქართველოს პროკურატურა განიხილავს საარჩევნო თემასთან დაკავშირებულ ხუთ შემთხვევას<sup>44</sup>.

## XII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არჩევნების მთლიან პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების აკრედიტება ცესკოს მიერ ხორციელდება. საოლქო საარჩევნო კომისიები იმ ადგილობრივი დამკვირვებლების აკრედიტებას ახდენენ, რომლებიც კონკრეტულ საარჩევნო ოლქში ახორციელებენ დაკვირვებას. ამ არჩევნებში პირველად დანერგა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ელექტორნული, ონლაინ რეგისტრაციის სისტემა. ამჟამინდელი მონაცემებით ცესკომ 56 ადგილობრივი და 33 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის აკრედიტაცია მოახდინა; აკრედიტაცია ასევე 27 მედია საშუალების წარმომადგენელმა 923 ჟურნალისტმა მიიღო. სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიეცათ უფლება ამომრჩეველთა სია შემოწმონ საარჩევნო ინტერვალში და არჩევნების დღემდე არაუმეტეს 18 დღით ადრე, რაც ნაწილობრივ წარმოადგენს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ადრინდელი რეკომენდაციის გათვალისწინებას, რათა მომხდარიყო დამკვირვებელთა უფლებების გაფართოება. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლებთან შეხვედრისას თანამოსაუბრეების დიდმა ნაწილმა შემოთავაზა გამოხატა იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიტიკურ ინტერესებს წარმოადგენენ.

## XIII. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მუშაობა 18 სექტემბერს დაიწყო. მისიის ხელმძღვანელი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ცესკოს თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორს, სახელმწიფო აუდიტის

<sup>43</sup> ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება, საარჩევნო კამპანიის წარმოების დარღვევები, ზეწოლის ინციდენტები, დაუბალანსებელი მედია გაშუქება და გაყალბებული ხელმოწერები. განხილული თემების ზოგიერთი ნაწილი კომისიის მანდატს სცდებოდა.

<sup>44</sup> ოთხი შემთხვევა შეეხებოდა ძალადობის ფაქტს, ერთი კი ორი პარტიის მხარდამჭერდა სიაბში აღმოჩენილ გაყალბებულ ხელმოწერებს.

სამსახურის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელებს, სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო ოფიციალურ პირებს, კანდიდატებს, პარტიების ლიდერებს და ეუთოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ (ODIHR EOM) კონტაქტები დაამყარა სამოქალაქო საზოგადოების, მედიის წარმომადგენლებთან და არჩევნებით დაინტერესებულ სხვა მხარეებთან.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), ევროპარლამენტი და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA) გეგმავენ არჩევნების დღეს დამკვირვებლების რანგში დელეგაციების დანიშვნას. ეუთოს თავმჯდომარის მიერ ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის სპეციალურ კოორდინატორად და ლიდერად დასახელდა ბ-ნი კრისტიან ვიგენინი. არჩევნების დღის დაკვირვება იქნება ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც გააერთიანებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ODIHR, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის OSCE PA, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის PACE, ევროპარლამენტისა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საქმიანობას.

*წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.  
ქართულ ენაზე შესრულებული წინამდებარე თარგმანი წარმოადგენს ინგლისურ ენაზე  
შედგენილი ანგარიშის არაოფიციალურ თარგმანს.*